წინასწარი რეგისტრაცია

1. ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტზე ჩატარდეს წინასწარი რეგისტრაცია.
2. დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს, პროგრამის ხელმძღვანელებს და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს წინასწარი რეგისტრაციის ფორმის შემუშავება.
3. დაევალოს ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტის ბაკალავრიატის აქტიური სტატუსის მქონე სტუდენტებს წინასწარი რეგისტრაციის გავლა, რაც გულისხმობს შემდეგს:
   3.1. ელექტრონულად წინასწარი რეგისტრაციის ფორმის შევსება:
      3.1.1. 2012–2013 წლის გაზაფხულის სემესტრისთვის 01.12.2012 – 16.12.2012 პერიოდში;
      3.1.2. 2013–2014 წლის შემოდგომის სემესტრისთვის 17.03.2013 – 31.03.2013 პერიოდში;
   3.2. კონსულტაციის გავლა სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან და წინასწარი რეგისტრაციის ფორმის საბოლოო სახით ჩამოყალიბება:
      3.2.1. 2012–2013 წლის გაზაფხულის სემესტრისთვის 17.12.2012 – 30.01.2013 პერიოდში;
      3.2.2. 2013–2014 წლის შემოდგომის სემესტრისთვის 01.04.2013 – 30.05.2013 პერიოდში;
4. დაევალოს სასწავლო პროცესის მართვის სამსახურს უზრუნველყოს:
   4.1. წინასწარი რეგისტრაციის ჩატარება
      4.1.1. 2012–2013 წლის გაზაფხულის სემესტრისთვის 01.12.2012 – 30.01.2013 პერიოდში;
      4.1.2. 2013–2014 წლის შემოდგომის სემესტრისთვის 16.04.2013 – 30.05.2013 პერიოდში;
   4.2. წინასწარი რეგისტრაციის შესახებ ინფორმაციის მიწოდება სტუდენტებისთვის;
   4.3. სტუდენტების კონსულტირება, დასარეგისტრირებელი საგნების შეთანხმება და საბოლოო სახით ჩამოყალიბება;
   4.4. წინაპირობის შესრულების შემთხვევაში სტუდენტებისთვის შესაბამისი საგნების დარეგისტრირება სტუდენტურ მონაცემთა ბაზაში.
5. საგანზე სტუდენტის დარეგისტრირებისას პრიორიტეტულად გათვალისწინებული იქნეს
   5.1. რესურსის ხელმისაწვდომობა;
   5.2. სტუდენტის სემესტრი – თუ რამდენად აუცილებელია საგნის მოსმენა დიპლომის მისაღებად;
   5.3. გამოიწვევს თუ არა მიმდინარე სემესტრში მოთხოვნილ საგანზე სტუდენტის არ დარეგისტრირება მის მიერ დამატებითი სემესტრის აღების აუცილებლობას სწავლის დასასრულებლად;
   5.4. სტუდენტის აკადემიური მოსწრება.
6. წინასწარი რეგისტრაციის შედეგების დაზუსტება შესაძლებელია მისი განუხორციელობლების შემთხვევაში, მაგალითად როცა სტუდენტმა ვერ შეასრულა არჩეული საგნების წინაპირობა.
7. იმ შემთხვევაში თუ სტუდენტი
   7.1. დადგენილ ვადებში ვერ/არ გაივლის წინასწარ რეგისტრაციას,
   7.2. დადგენილ ვადებში ვერ/არ გაივლის კონსულტაციას სასწავლო პროცესის მართვის სპეციალისტთან და ვერ/არ მოხდება საბოლოო შეთანხმება დასარეისტრირებელი საგნების შესახებ,

   მაშინ სტუდენტს უფლება აქვს გაიაროს აკადემიური რეგისტრაცია სტანდარტული წესის შესაბამისად აკადემიური რეგისტრაციისთვის განსაზღვრულ პერიოდში დარჩენილი რესურსის ფარგლებში.